34. ავტოსადგომების განაწილების გეგმა;
35. საპროექტო ტერიტორიის მოძრაობის ორგანიზების სქემა მიმდებარე ქუჩებთან კავშირის ჩვენებით და პარამეტრების (მათ შორის ტროტუარის) მითითებით;
36. მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზეც გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
37. წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
38. წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე სახანძრო ჰიდრანტების მოწყობის გეგმა;
39. ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
40. გარე განათების ქსელის სქემატური ნახაზი;
41. ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა;

42. სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
43. გამწვანების დენდროლოგიური გეგმა;
44. ვერტიკალური გეგმარება;
45. ვიზუალიზაცია;
46. ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
47. საჯარო რეესტრის ამონაწერები და თანხმობის აქტები;
48. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში).

5 შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-2 თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შესაბამისად;
2. განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის მასალები AutoCAD ან ArchiCAD, PDF ფორმატში ატვირთული იქნეს პორტალზე <https://ms.gov.ge/home> განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული განცხადების კატეგორიაში, ნომენკლატურა: განაშენიანების რეგულირების გეგმა. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.
3. გრაფიკული ნაწილის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გეგმარებითი დავალებით დადგენილს, რაც შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს დაგეგმვის საჭიროების მიხედვით;
4. გრაფიკული ნაწილის მასშტაბის ძირითადი დიაპაზონი არის 1:500-1:5000;
5. გრგ ნახაზებზე გამოიყენება რიცხობრივი მასშტაბი. სურვილისამებრ შესაძლებელია დამატებით ხაზოვანი მასშტაბის გამოყენება.

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან სამი წლის განმავლობაში.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 20.1476.1813
11 / დეკემბერი / 2020 წ.

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.052; N01.20.01.010.055; N01.20.01.010.060; N01.20.01.010.067; N01.20.01.010.068; N01.20.01.010.079; N01.20.01.010.080; N01.20.01.010.116; N01.20.01.010.138; N01.20.01.010.081; N01.20.01.010.082; N01.20.01.010.083; N01.20.01.010.085; N01.20.01.010.469; N01.20.01.010.120; N01.20.01.010.171; N01.20.01.010.130; N01.20.01.010.137; N01.20.01.117.154; N01.20.01.010.114; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.097; N01.20.01.010.096; N01.20.01.010.098; N01.20.01.010.473; N01.20.01.010.113; N01.20.01.010.099; N01.20.01.010.108; N01.20.01.010.109; N01.20.01.010.111; N01.20.01.010.115; N01.20.01.010.302; N01.20.01.010.303; N01.20.01.010.327; N01.20.01.010.349; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.437; N01.20.01.010.439; N01.20.01.010.084; N01.20.01.010.087; N01.20.01.010.090; N01.20.01.010.180; N01.20.01.010.182; N01.20.01.010.192; N 01.20.01.010.197; N01.20.01.010.198; N01.20.01.010.224; N01.20.01.010.318; N01.20.01.010.355; N01.20.01.010.359; N01.20.01.010.402; N01.20.01.010.408; N01.20.01.010.426; N01.20.01.010.428; N01.20.01.010.429; N01.20.01.010.438; N01.20.01.010.458; N01.20.01.010.002; N01.20.01.010.465; N01.20.01.010.467; N01.20.01.010.472; N01.20.01.010.003; N01.20.01.010.023; N01.20.01.010.025; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.042; N01.20.01.010.043; N01.20.01.010.047) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს 2020 წლის 28 თებერვალს N01200591-67 (N01201462434-67; N01203082459-67; N01203423263-67) განცხადებით მიმართა ნაირა ხიზანიშვილმა (პ/ნ 01015002031) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.052; N01.20.01.010.055; N01.20.01.010.060; N01.20.01.010.067; N01.20.01.010.068; N01.20.01.010.079; N01.20.01.010.080; N01.20.01.010.116; N01.20.01.010.138; N01.20.01.010.081; N01.20.01.010.082; N01.20.01.010.083; N01.20.01.010.085; N01.20.01.010.469; N01.20.01.010.120; N01.20.01.010.171; N01.20.01.010.130; N01.20.01.010.137; N01.20.01.117.154; N01.20.01.010.114; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.097; N01.20.01.010.096; N01.20.01.010.098; N01.20.01.010.473; N01.20.01.010.113; N01.20.01.010.099; N01.20.01.010.108; N01.20.01.010.109; N01.20.01.010.111; N01.20.01.010.115; N01.20.01.010.302; N01.20.01.010.303; N01.20.01.010.327; N01.20.01.010.349; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.437; N01.20.01.010.439; N01.20.01.010.084; N01.20.01.010.087; N01.20.01.010.090; N01.20.01.010.180; N01.20.01.010.182; N01.20.01.010.192; N01.20.01.010.197; N01.20.01.010.198; N01.20.01.010.224; N01.20.01.010.318;



N01.20.01.010.355; N01.20.01.010.359; N01.20.01.010.402; N01.20.01.010.408; N01.20.01.010.426; N01.20.01.010.428; N01.20.01.010.429; N01.20.01.010.438; N01.20.01.010.458; N01.20.01.010.002; N01.20.01.010.465; N01.20.01.010.467; N01.20.01.010.472; N01.20.01.010.003; N01.20.01.010.023; N01.20.01.010.025; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.042; N01.20.01.010.043; N01.20.01.010.047) და მიმდებარე უფლებადურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღებში“, კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის სრული ფართობი: 62 464 კვ.მ, რეგისტრირებული არეალის ფართობი: 45 034 კვ.მ და დაურეგისტრირებელი ტერიტორია: 18 429 კვ.მ (აღნიშნულის ნაწილი დაკავებული აქვს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას და სარეკრეაციო სივრცეს); როგორც საპროექტო არეალში, ასევე მიმდებარე ტერიტორიებზე, გვხვდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები სრული საინჟინრო ქსელებით. საპროექტო არეალთან სატრანსპორტო კავშირი ხდება მხოლოდ დ. ბათიაშვილის ქუჩის მხრიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთებამდე მიდის გრუნტის გზა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სატყეო ზონა.

საპროექტო წინადადებით ტერიტორიის განვითარება იგეგმება მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი, საგზაო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსითა და სრულყოფილი სარეკრეაციო სივრცით. საპროექტო არეალის მთლიანი ფართობი: 62464 მ², აქედან დასაპროექტებელი ნაკვეთების საერთო ჯამური ფართობია: 44035 მ² (მათ შორის: 39807მ² წარმოადგენს კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებს, ხოლო დანარჩენი - 4228 მ² რეგისტრირებულია სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში). დანარჩენი დაურეგისტრირებელი 18429 მ² ფართიდან დაახლოებით 16071 მ² დაეთმობა სატრანსპორტო და ქვეითად მოსიარულეთა გზას, ხოლო დარჩენილი 2358 მ² - სარეკრეაციო ზონას (აღნიშნული გზისა და რეკრეაციის არეალის ფართობი დაზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტადიაზე).

საპროექტო არეალის დაგეგმვა ითვალისწინებს ორგანიზებული და არსებულ რელიეფთან მიმართებაში სწორად დაგეგმარებული თანამედროვე საცხოვრებელი უბნის მშენებლობას. საპროექტო ტერიტორიის ძირითად ნაწილზე დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) განვითარება, სადაც დასაშვებია განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. დაგეგმარება ითვალისწინებს ცალკეულ ნაკვეთებზე სხვადასხვა ტიპის (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვის) 1-2-3 სართულიანი საცხოვრებელი სახლების მოწყობას შესაბამისი ინფრასტრუქტურით. შიდა სავტომობილო გზის ნაწილში გათვალისწინებულია არსებული და საპროექტო საჯაროსამართლებრივი სერვიტუტები.

საპროექტო წინადადებით ხუთი რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.469; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.083 და N01.20.01.010.096.) საჭიროებს ფუნქციური ზონის ცვლილებას, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ 2) პარამეტრებს. კერძოდ, გავრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) (თუმცა განვითარდება რზ-2-ში დადგენილი კოეფიციენტების შესაბამისად).

ასევე, საპროექტო წინადადებით დაგეგმილია N01.20.01.010.469 საკადასტრო ერთეულის გაერთიანება N01.20.01.010.174-თან, ხოლო N01.20.01.010.458 გაერთიანდება N01.20.01.010.473-თან.

ის ნაკვეთები, რომელთა ნაწილი მოქცეულია სატყეო ზონაში და ნაწილი საცხოვრებელ ზონა 1-ში (სზ-1), განვითარდებიან ამ ზონების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ასეთ ნაკვეთებში შენობა განთავსდება საცხოვრებელ ზონა 1-ში (სზ-1) და მათი პარამეტრები დადგინდება თითოეული ნაკვეთის საცხოვრებელ ზონა 1-ში (სზ-1) არსებული არეალიდან გამომდინარე

საპროექტო წინადადებით, ასევე, დაგეგმილია საცხოვრებელ ზონა 1-ში (სზ-1) არსებული კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის ცვლილება და ადგილმონაცვლეობა, ამავე საპროექტო არეალში ფართის უცვლელად. რაც შეეხება სარეკრეაციო სივრცის ფორმირებას, ის მიღწეულია ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებული მიწების და საკუთრებაში არსებული რიგი ტერიტორიების გადაადგილების/კონფიგურაციების ცვლილების შედეგად.

საპროექტო ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სატყეო ზონა.

სართულიანობა: 1; 2 და 3 სართული

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით დადგენილი ფუნქციური ზონები და პარამეტრები:

საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1)

კ1- 0.5

კ2 - 0.8

კ3 - 0.4

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)

კ1- 0.2

კ2 - 0

კ3 - 0.8

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

კ3 - 0.1

სატყეო ზონა

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 11 ნოემბრის N18-01203161786 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.20.01.010.002 და მიმდებარე 67 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 10 ნოემბრის N01203152645 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 3 ივლისის N61-01201851040 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 1 სექტემბრის N5/47690 (რეგისტრაციის: N06-01202453283-16) წერილის შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, N01.20.01.010.302; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.349 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთი შეყვანილი იქნეს გეგმარებითი დავალების არეალში იმ პირობით, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება და თქვენს მიერ წარდგენილი პროექტის დამტკიცების შემთხვევაში არ უნდა გაუარესდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მდგომარეობა/ღირებულება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პროგრამაში არსებული

განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

წარმოდგენილი წინადადებითა და დასაბუთებით, დასაშვებია ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01200591-67 (N01201462434-67; N01203082459-67; N01203423263-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ძიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.052; N01.20.01.010.055; N01.20.01.010.060; N01.20.01.010.067; N01.20.01.010.068; N01.20.01.010.079; N01.20.01.010.080; N01.20.01.010.116; N01.20.01.010.138; N01.20.01.010.081; N01.20.01.010.082; N01.20.01.010.083; N01.20.01.010.085; N 01.20.01.010.469; N01.20.01.010.120; N01.20.01.010.171; N01.20.01.010.130; N01.20.01.010.137; N01.20.01.117.154; N01.20.01.010.114; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.097; N01.20.01.010.096; N01.20.01.010.098; N01.20.01.010.473; N01.20.01.010.113; N01.20.01.010.099; N01.20.01.010.108; N01.20.01.010.109; N01.20.01.010.111; N01.20.01.010.115; N01.20.01.010.302; N01.20.01.010.303; N01.20.01.010.327; N01.20.01.010.349; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.437; N01.20.01.010.439; N01.20.01.010.084; N01.20.01.010.087; N01.20.01.010.090; N01.20.01.010.180; N01.20.01.010.182; N01.20.01.010.192; N01.20.01.010.197; N01.20.01.010.198; N01.20.01.010.224; N01.20.01.010.318; N01.20.01.010.355; N01.20.01.010.359; N01.20.01.010.402; N01.20.01.010.408; N01.20.01.010.426; N01.20.01.010.428; N01.20.01.010.429; N01.20.01.010.438; N01.20.01.010.458; N01.20.01.010.002; N01.20.01.010.465; N01.20.01.010.467; N01.20.01.010.472; N01.20.01.010.003; N01.20.01.010.023; N01 20.01.010.025; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.042; N01.20.01.010.043; N01.20.01.010.047) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი სმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **18-01203161786**
თარიღი: **11/11/2020**
პინი: **2089**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 3 ნოემბრის №01203082459-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღების“ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.20.01.010.002 და მიმდებარე 67 საკადასტრო ერთეული; არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატყეო ზონა; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-1; რზ-2; ტზ-1; სატყეო ზონა) ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს, გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის მითითებით (რზ-2 = 1 702 მ² და ტზ-1 = 3 281 მ², ჯამში = 4 983 მ²) და ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნას. ამასთან, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, სამსახური არ არის წინააღმდეგი საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს 15 ძირი მწვანე ნარგავის მოჭრა და 41 ძირი მწვანე ნარგავის გადარგვა (01.20.01.010.003 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №1-D=7; №4-D=22; 01.20.01.010.025 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №3-D=30, მოსაჭრელად მოთხოვნილი - №2; 01.20.01.010.036 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №2 D=12, მოსაჭრელად მოთხოვნილი - №1, №5; 01.20.01.010.042 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №5-D=27, №6-D=20, №7-D=6, №8-D=17, №9-D=27, №10-D=7; 01.20.01.010.055 ს/კ-ზე: მოსაჭრელად მოთხოვნილი - №6; 01.20.01.010.060 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №1-D=23, №2-D=10, №8-D=20, №9-D=19; 01.20.01.010.067 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №4-D=20, №5-D=24; 01.20.01.010.068 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №1-D=20; 01.20.01.010.083 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №2-D=20, №3-D=18; 01.20.01.010.098 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №9-D=27, №33-D=7; 01.20.01.010.111 ს/კ-ზე: მოსაჭრელად მოთხოვნილი - №3-6; 01.20.01.010.113 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №1-D=1, №2-D=1; 01.20.01.010.114 ს/კ-ზე: მოსაჭრელად მოთხოვნილი - №1; 01.20.01.010.120 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №2-D=3; 01.20.01.010.137 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №3-D=25, №4-D=27; 01.20.01.010.138 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №1-D=18, №2-D=22, №9-D=7; 01.20.01.010.171 ს/კ-ზე: მოსაჭრელად მოთხოვნილი - №3; 01.20.01.010.174 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №10-D=12; 01.20.01.010.192 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №4-D=22; 01.20.01.010.197 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №3-D=20; 01.20.01.010.224 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №1-D=1; 01.20.01.010.318 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №1-D=1, №2-D=1; 01.20.01.010.359 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №15-D=12, №16-D=13, №17-D=13, №18-D=6, №20-D=17; 01.20.01.010.402 ს/კ-ზე: მოსაჭრელად მოთხოვნილი - №10, №15; 01.20.01.010.408 ს/კ-ზე: გადასარგავად მოთხოვნილი - №18-D=13; 01.20.01.010.458 ს/კ-ზე: მოსაჭრელად მოთხოვნილი - №21; 01.20.01.010.303 ს/კ-ზე: მოსაჭრელად მოთხოვნილი - №8, №12).

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილის გამწვანების პროექტის შეთანხმების საკითხზე, რომლის განვითარებაც იგეგმება საცხოვრებელი სახლებით, რზ-2-ისა და სზ-1-ის

პარამეტრებით (საერთო ფართობი = 45 034 მ²; კ-3 კოეფიციენტი = 0.4 და 0.8; კ-3 ფართობი = 19 481 მ²), გადაწყვეტილება მიღებული იქნება თითოეული მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით სამშენებლოდ განვითარებისას, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის ფარგლებში, დეტალური პროექტების დროს.

ამასთან წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით, საპროექტო არეალში შემავალი დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე, რომელზეც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული გრაფიკული რუკის მიხედვით ვრცელდება რზ-2 (01.20.01.010.096-ის მიმდებარედ) და სატყეო ზონა (01.20.01.010.429-ის მიმდებარედ) გზის მოწყობა განხორციელდება სერვისუტის უფლების წარმომადგენლის რეგისტრაციით, არსებული ფუნქციური ზონების (რზ-2, სატყეო ზონა) შენარჩუნებით. ამასთანავე, საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს 01.20.01.010.408, 01.20.01.010.428, 01.20.01.010.429 და 01.20.01.010.458 საკადასტრო ერთეულების იმ ნაწილების სამშენებლოდ განვითარებას, რომელზეც ვრცელდება სატყეო ზონა.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.20.01.010.002 და მიმდებარე 67 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

დამატებით, გამწვანების დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე (რზ-2-ის და ტზ-1-ის ნაწილებისთვის), გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეებით.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხაყი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, გარდა შავი და ელდარის ფიჭვების, ვერხვის, ასევე კვიპაროსის სახეობების ხეებისა.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

რაც შეეხება ვერხვის ხეებს, ისინი ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამოწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს **არანაკლებ 3.5 მეტრი**, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - **არანაკლებ 3 მეტრი**, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - **არანაკლებ 20 სანტიმეტრი**.

დამატებით გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია სვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01203441241**
თარიღი: **09/12/2020**
პინი: **4610**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 7 დეკემბრის №01203423263-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღების“ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.20.01.010.002 და მიმდებარე 67 საკადასტრო ერთეული; არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატყეო ზონა; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-1; რზ-2; ტზ-1; სატყეო ზონა) ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით, სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში დადებითი პოზიცია დააფიქსირა მიმდინარე წლის 11 ნოემბრის №18-01203161786 წერილით. გამომდინარე იქიდან, რომ 2020 წლის 7 დეკემბრის №01203423263-67 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი, როგორც გეცნობათ მიმდინარე წლის მიმდინარე წლის 11 ნოემბრის №18-01203161786 წერილით, გთხოვთ იხელმძღვანელოთ აღნიშნული პოზიციით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის
განვითარების სააგენტო



წერილის ხომერი: 16-01200991499
თარიღი: 08/04/2020
პინი: 2035

ადრესატი: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული
განვითარების სამსახური
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსს,
ანდრია ბასილაიას

ბატონო ანდრია,

2020 წლის 28 თებერვლის N01200591-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.20.01.010.084, 01.20.01.010.085, 01.20.01.010.087, 01.20.01.010.090, 01.20.01.010.096, 01.20.01.010.097, 01.20.01.010.098, 01.20.01.010.099, 01.20.01.010.099 და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, დამატებით გაცნობებთ:

2016 კომპანია SYSIRA-მ ჩაატარა კვლევა, რომლის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა თბილისის 10 პოტენციური საბაგირო დერეფანი. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გადის ერთ-ერთი საბაგირო დერეფანი, კერძოდ კი, „წყნეთი-ბაგები-ნუცუბიძეს“ მარშრუტი. ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საბაგირო დერეფნის მოწყობის ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან აცილების მიზნით, მიიჩნევს, რომ მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, რომელზეც ვრცელდება შეზღუდვის არეალი, შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მეტრს.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: **16-01200713244**
თარიღი: **11/03/2020**
პინი: **1742**

ადრესატი: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსს

გიორგი ებანოიძეს

ბატონო გიორგი,

2020 წლის 28 თებერვლის N 01200591-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.20.01.010.084, 01.20.01.010.085, 01.20.01.010.087, 01.20.01.010.090, 01.20.01.010.096, 01.20.01.010.097, 01.20.01.010.098, 01.20.01.010.099, 01.20.01.010.099 და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო გვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მოსაწესრიგებელია საფეხმავლო ინფრასტრუქტურა საპროექტო ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. მისაწვდომობის იზოქრონული რუკებიდან ირკვევა, რომ 15წთ-ის ფეხით სავალ მანძილზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის უახლოესი გაჩერების ადგილი და 25-30წთ-ის მანძილზე – სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. აღსანიშნავია, რომ მიმდებარე ტერიტორიები დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ფუნქციით ვითარდება. საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე რეკომენდებულია ტროტუარების და საქვეითე გადასასვლელების მოწყობა ერთიანი ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად. ტერიტორიაზე დაგეგმილია სააგარაკე ტიპის საცხოვრებელი სახლების განთავსება, საპროექტო არეალის ქაოტურად განთავსების პრევენცია და ერთიანი სიმჭიდროვისა და წესრიგის შენარჩუნება. იგეგმება მცირე ზომის სპორტული მოედნებისა და სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა/ შენარჩუნება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს უბნის საქვეითე წვდომას საუბნო ფუნქციებზე.

საპროგნოზო მგზავრობების რაოდენობა (საშუალოდ 35 ავტომობილო პიკის საათებში) მნიშვნელოვნად ვერ იმოქმედებს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

საკვლევი ტერიტორიის წარმოდგენილი დაბალი ინტენსივობით, საცხოვრებელი-სარეკრეაციო ფუნქციით განვითარება მიზანშეწონილია და ხელს შეუწყობს ერთიანი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

შესაბამისად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

აქვე გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში წარმოსადგენი იქნება ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: **01203152645**
თარიღი: **10/11/2020**
პინი: **3087**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2020 წლის 3 ნოემბრის N 01203082459-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.20.01.010.084, 01.20.01.010.085, 01.20.01.010.087, 01.20.01.010.090, 01.20.01.010.096, 01.20.01.010.097, 01.20.01.010.098, 01.20.01.010.099 და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 28 თებერვლის N 01200591-67 განცხადების პასუხად N 16-01200713244 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წებტილის სოშეტი. 0120344045
თარიღი: 09/12/2020
პინი: 0902

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2020 წლის 7 დეკემბრის N 01203423263-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ე.წ. „ნუში ბაღის“ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.20.01.010.052, 01.20.01.010.055, 01.20.01.010.060, 01.20.01.010.067 და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებასთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, 2020 წლის 30 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №59-65 - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული პერსპექტიული ობიექტის (საბაგირო) შეზღუდვა გაუქმდა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01201851040**
თარიღი: **03/07/2020**
პინი: **7150**

ადრესატი: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული
განვითარების სამსახური
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ განიხილა თქვენი 04.06.2020 წლის №67-01201562343 (N12-0120157306-61) წერილით გადმოგზავნილი 25.05.2020 წლის N01201462434-67 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე, არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.20.01.010.437 188კვ.მ, 01.20.01.010.439 240 კვ.მ, 01.20.01.010.327 600კვ.მ 01.20.01.010.303 600კვ.მ, 01.20.01.010.423 და 01.20.01.010.420-ის ნაწილი ტერიტორიები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებასთან დაკავშირებით სააგენტოს პოზიციის დაფიქსირება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პატივისცემით

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული მტამპი





KA021726674013120

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, იჭავჭავაძის გამზ. 49ა
ტელ: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi Georgia
Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/47690

01 / სექტემბერი / 2020 წ.

სსიპ-ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა
და ურბანული განვითარების სააგენტოს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 06.07.2020 წლის N67-01201883241, 24.08.2020წ. N16-0120237859 წერილების პასუხად რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე N01.20.01.010.302; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.349 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთის გეგმარებითი დავალების არეალში შეყვანასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის საკითხს, გაცნობებთ, რომ სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, აღნიშნული უძრავი ნივთი შეყვანილი იქნას გეგმარებითი დავალების არეალში, იმ პირობით, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ წარმოუშობა რაიმე სახის ვალდებულება და თქვენს მიერ წარდგენილი პროექტის დამტკიცების შემთხვევაში არ უნდა გაუარესდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მდგომარეობა/ღირებულება.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერა/
შტამბასაშუა
ვლემტოვნულად



გიორგი დუგლაძე